RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული უნარების სააგენტო

საქართველოს

‘რკინის გზით’

წარსულიდან მომავლისკენ

პროექტის მიზანი

ჩვენი მიზანია სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტებმა გაიღრმაონ და გაავრცელონ ცოდნა სარკინიგზო ისტორიაში, გაიაზრონ რკინიგზის დაარსებიდან დღემდე არსებული მნიშვნელოვანი მოვლენები.

პროექტის ძირითადი ამოცანები:

- ისტორიული ცოდნის გაღრმავება;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა;
- მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა.

საგანმანათლებლო მიმართულება

პროექტი ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და უზრუნველყოფს:

- წიგნიერების კომპეტენციის განვითარებას;
- სამიზნე ჯგუფში საკვანძო კომპეტენცი(ებ)ის განვითარების ხელშეწყობას;
- ციფრული კომპეტენციების გაძლიერებას;
- კულტურული ცნობიერების ამაღლებას.

სამოგზაურო მარშრუტები და ლოკაციები

პირველი ეტაპი

01 ფოთის რკინიგზის სადგური

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და ლოგისტიკური კვანძი, რომელიც აკავშირებს ქვეყანას საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელთან. აქ ჩატარდა შემეცნებითი ღონისძიება ფოთის პორტისა და რკინიგზის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

02 სამტრედიის N1 საჯარო სკოლა

სამტრედია - საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სარკინიგზო კვანძი. სკოლაში წარვადგინეთ პრეზენტაცია "საქართველოს რკინიგზის წარსული, აწმყო და მომავალი", ჩავატარეთ სპორტული აქტივობები და გარემოსდაცვითი აქცია - დავრგეთ მარადმწვანე ხეები.



03 ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (დიდი ჯიხაიში)

მუზეუმში სტუდენტები დეტალურად გაეცნენ ნიკო ნიკოლაძის ფასდაუდებელ ღვაწლს რკინიგზის განვითარებაში. ჩატარდა ინტერაქტიული დისკუსია, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა დააკავშირეს ისტორიული ცოდნა თანამედროვე რეალობას.



04 პირველი ორთქლმავალი (შორაპანი)

უნიკალური ისტორიული ექსპონატი. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია ორთქლმავლის ტექნიკური მახასიათებლების, მუშაობის პრინციპების და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, აღმოაჩინეს კავშირები წარსულის ტექნოლოგიებსა და თანამედროვე სარკინიგზო სისტემებს შორის.

სამოგზაურო მარშრუტები და ლოკაციები

05 შორაპნის საჯარო სკოლა

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და ლოგისტიკური კვანძი, რომელიც აკავშირებს ქვეყანას საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელთან. აქ ჩატარდა შემეცნებითი ღონისძიება ფოთის პორტისა და რკინიგზის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

06 აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი (სხვიტორი)

სამტრედია - საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სარკინიგზო კვანძი. სკოლაში წარვადგინეთ პრეზენტაცია "საქართველოს რკინიგზის წარსული, აწმყო და მომავალი", ჩავატარეთ სპორტული აქტივობები და გარემოსდაცვითი აქცია - დავრგეთ მარადმწვანე ხეები.

სამოგზაურო მარშრუტები და ლოკაციები

მეორე ეტაპი

ხაშურის N1 საჯარო სკოლა

წარვადგინეთ პრეზენტაცია რკინიგზის წარსული, აწმყო და მომავლის შესახებ. ჩატარდა სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, გამწვანების აქცია. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

სტუდენტები გაეცნენ არქეოლოგიურ, ისტორიულ და კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატებს, ასევე ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებისეულ მოვლენებს, მისი რკინიგზასთან კავშირის ისტორიებს და ფოტომასალას.

ხაშურის რკინიგზის სადგური;

წიფის გვირაბი.

ხაშურის სადგური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია, რომელიც აკავშირებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის რკინიგზას. წიფის გვირაბთან გამართა დისკუსია მისი მნიშვნელობის, მშენებლობის, სტრატეგიული დანიშნულებისა და რკინიგზის განვითარების შესახებ.

სამოგზაურო მარშრუტები და ლოკაციები
მესამე ეტაპი

ახალქალაქის რკინიგზის სადგური

დასკვნითი ღონისძიება გაიხსნა ახალქალაქის რკინიგზის სადგურში. ღონისძიებას ესტუმრნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, კოლეჯის სტუდენტები და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კოთელიის საჯარო სკოლის მოსწავლეები. მოსწავლეებმა პანელურ დისკუსიაში ისაუბრეს რკინიგზის როლსა და მნიშვნელობაზე ახალქალაქისთვის, ასევე რკინიგზის მომავალზე საქართველოში.

"დროის კაფსულა" - გზავნილი 2035 წლისთვის

ღონისძიება დასრულდა სპეციალური აქტივობით "დროის კაფსულა", სადაც მონაწილეებმა დაწერეს თავიანთი ხედვა და სურვილები რკინიგზისთვის 2035 წლისთვის. ღონისძიება დასრულდა ჯგუფური ფოტოსესიით, ჰელიუმის ბუშტების გაშვებითა და ფეიერვერკით.

ეკოლოგიური ინიციატივები

პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური საქმიანობები:

- ხეების დარგვა და გამწვანების სამუშაოები;
- ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება;
- მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა.

პარტნიორობა

პროექტი განხორციელდა პარტნიორი სკოლების აქტიური ჩართულობით:

- სამტრედიის N1 საჯარო სკოლა;
- ხაშურის N1 საჯარო სკოლა;
- ზაზა ფერაძის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა;
- თამაზ მელიქიძის სახელობის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კოთელიის საჯარო სკოლა;

ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებას და მომავალი თაობის სარკინიგზ სფეროსადმი ინტერესის გაღვივებას.

პროექტის მონაწილე პროფესიული სტუდენტების შეფასებები:

მარიამ ჭოლაძე

პროფესიული სტუდენტი

"განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვარ პროექტით „საქართველოს რკინის გზით" წარსულიდან მომავლისაკენ, რომელმაც საშუალება მომცა კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდომოდი სარკინიგზო ინდუსტრიის მნიშვნელობას. ამ პროექტით მართლაც ვიგრძენი, რომ რკინიგზა საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის განუყოფელი ნაწილია."

იური კოხოძე

პროფესიული სტუდენტი

"ამ პროექტმა მომცა უნიკალური შანსი, დამენახა ჩვენი ქვეყნის სარკინიგზო ინდუსტრიის ისტორიული მნიშვნელობა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები. ყველაზე შთამბეჭდავი იყო რეგიონებში ვიზიტები, სადაც ვნახე, თუ როგორ აერთიანებს რკინიგზა სხვადასხვა კუთხის ადამიანებს და კულტურებს."

ბარბარე თოდუა

პროფესიული სტუდენტი

"ექსკურსიები, სემინარები და პრაქტიკული აქტივობები დამეხმარა დამენახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონალური თანამშრომლობა სარკინიგზო დარგის განვითარებისთვის. დღეს უფრო კარგად მესმის სარკინიგზო ინდუსტრიის მნიშვნელობა და უფრო ნათლად ვხედავ ჩემს მომავალს."

ისტორიული პიროვნებები

ნიკო ნიკოლაძე

დიდი ჯიხაიშში მისი სახლ-მუზეუმის მონახულებისას შევისწავლეთ მისი როლი რკინიგზის განვითარების საქმეში და გავეცანით მის ვიზიონერულ იდეებს ქვეყნის მოდერნიზაციის შესახებ.

აკაკი წერეთელი

სხვიტორში მისი სახლ-მუზეუმის დათვალიერებისას გავაანალიზეთ, თუ როგორ ასახავდა დიდი პოეტი რკინიგზის მშენებლობას თავის ნაწარმოებებში და რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ პროცესს ქართული კულტურისთვის.

ნიკო ფიროსმანი

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გავეცანით ფიროსმანის ცხოვრებას და ვნახეთ, თუ როგორ ასახავდა მხატვარი რკინიგზასთან დაკავშირებულ ყოფას თავის ნამუშევრებში.

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული უნარების სააგენტო

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით

📍 ქ.თბილისი, თემქის დასახლება. XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
📞595 55 45 24
📩info.rtc2016@gmail.com

© 2025 სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი. ყველა უფლება დაცულია.